

შეტყობინება მეექვსე

მოვიპოვოთ ღმერთი, რათა გარდავისახოთ ღმერთის მიერ ღმერთის ჩანაფიქრისათვის

ადგილები წერილიდან: იობ. 42:1-6; 2 კორ. 3:8-9; 4:10-12, 16-18; 5:18-20

- I. ღმერთის განზრახვა იობთან დაკავშირებით იყო ის, რომ იობი გამხდარიყო ადამიანი, მცხოვრები ზეციურ ხედვასა და ღმერთის სახლმშენებლობის სინამდვილეში:
- ა. იობის განცდები იყო ნაბიჯი, გადადგმული ღმერთის მიერ მის ღვთაებრივ სახლმშენებლობაში იმ მიზნით, რომ დაემსხვრია დაკმაყოფილებული იობი და მოეშორებინა მისთვის ყველაფერი, რათა დაემხო იობი და ამის წყალობით მიეღო შესაძლებლობა თავიდან აეშენებინა ის თვით ღმერთით და აღედრა იობი, რომ მას უფრო ღრმად ეძებნა ღმერთი, რათა მას მოეპოვებინა ღმერთი ნაცვლად ღმერთის კურთხევებისა და თავისი მიღწევებისა თავის სრულყოფილებასა და უბიწოებაში – ფილიპ. 3:10-14; 1 კორ. 2:9; 8:3; გამ. 20:6; 1 ნეშ. 16:10-11; 22:19ა; 2 ნეშ. 12:14; 26:3-5; 34:1-3ა; ფსალ. 24:6; 27:4, 8; 105:4; 119:2, 10; ებრ. 11:6.
 - ბ. მას, ვისაც არ აინტერესებს ღმერთი, შეუძლია მრავალი რამ მოიპოვოს და ერთი შეხედვით კეთილდღეობაში იცხოვროს (ფსალ. 73:1-15); მაგრამ ადამიანს, რომელსაც აინტერესებს მხოლოდ ღმერთი, ღმერთი შეზღუდავს და მრავალ რამეს მოაშორებს; ღმერთის განზრახვა მის მძებნელებთან დაკავშირებით არის ის, რომ ისინი პოულობდნენ მასში ყველაფერს და ყურადღება არ გადააქვთ მისით სრული ტკობიდან (მუხ. 16-28).
 - გ. ღმერთის მიზანი მის წმიდა ადამიანებზე მუშაობისას არის ის, რომ ისინი იყვნენ დაცარიელებულნი ყველაფრისაგან და მიიღონ მხოლოდ ღმერთი როგორც თავიანთი მონაპოვარი (ფილიპ. 3:8; შდრ. 73:25-26); ღმერთის გულის სურვილი არის ის, რომ ჩვენ მოვიპოვოთ ღმერთი სისავსეში როგორც სიცოცხლე, როგორც სასიცოცხლო შეწვენა და როგორც ყველაფერი ჩვენი არსებისათვის (რომ. 8:10, 6, 11; შდრ. კოლ. 1:17ბ, 18ბ).
 - დ. იმისათვის, რომ ვიცხოვროთ ღმერთის სახლმშენებლობის სინამდვილეში მის ღვთაებრივ დარიგებასთან ერთად, ჩვენთვის საჭიროა, რომ ღმერთმა ჩანერგოს თავისი თავი ჩვენს სიღრმისეულ შემადგენლობაში, რისი წყალობითაც მთელი ჩვენი არსება იქნება ახლიდან შედგენილი ქრისტეთი:
 - 1. როგორც გახსნილია პავლეს წერილებში, ღმერთის მიზანი ჩვენზე მუშაობაში არის ის, რომ მოგვაშოროს ჩვენ ყველაფერი და დაგვამსხვრიოს ჩვენ, რათა ჩვენ უფრო და უფრო მეტად მოვიპოვოთ ღმერთი – 2 კორ. 4:16-18.
 - 2. ეკლესიის აშენება ხდება იმის მეშვეობით, რომ ქრისტე აწყობს თავის სახლს ჩვენს გულებში, ანუ იმის მეშვეობით, რომ ის აშენებს თავის

თავს ჩვენში, ხდის ჩვენს გულს, ჩვენს სიღრმისეულ შემადგენლობას, თავის სახლად – ეფეს. 3:16-21.

- ე. ქრისტეში ღმერთი იყო ჩანერგილი ადამიანის შემადგენლობაში, ადამიანი იყო ჩანერგილი ღმერთის შემადგენლობაში და ადამიანი და ღმერთი შეერწყა, გახდა ერთი მთლიანი – ღმერთ-კაცი; ეს გულისხმობს, რომ ღმერთის განზრახვა მის სახლმშენებლობაში იყო, გამხდარიყო ადამიანი, რათა გაეხადა ადამიანი ღმერთი სიცოცხლითა და ბუნებით, მაგრამ არა ღვთაებაში – 2 მეფ. 7:12-14ა; რომ. 1:3-4; მათე 22:41-45; იოანე 14:6ა; 10:10ბ; 1 კორ. 15:45ბ; იოანე 6:63; 2 კორ. 3:6; 1 იოანე 5:16ა.

II. ღმერთის სახლმშენებლობა არის ის, რომ ღმერთი გახდა ადამიანი ხორცში განკაცების მეშვეობით, რათა ადამიანი გამხდარიყო ღმერთი სულში გარდასახვის მეშვეობით ღმერთის ჩაშენებისათვის ადამიანში და ადამიანის ჩაშენებისათვის ღმერთში იმ მიზნით, რომ მოეპოვებინა ერთობლივი ღმერთკაცი:

- ა. შესანიშნავი, აღმატებული, საიდუმლო და ყოვლისმომცველი გარდასახვები მარადიული და სამართიანი ღმერთისა მის მიერ ადამიანად გახდომაში არის ღმერთის მოძრაობა ადამიანში მისი მარადიული სახლმშენებლობის განსახორციელებლად – მიქ. 5:2; იოანე 1:14, 29; 3:14; 12:24; საქმე. 13:33; 1 პეტ. 1:3; 1 კორ. 15:45ბ; საქმე. 2:36; 5:31; ებრ. 4:14; 9:15; 7:22; 8:2:

- 1. ეს გარდასახვები არის პროცესები, რომლებიც გაიარა სამართიანმა ღმერთმა, გახდა ღმერთ-კაცი, მოიტანა ღვთაებრიობა ადამიანობაში და შეურწყა ღვთაებრიობა ადამიანობას როგორც ნიმუში მასიური კვლავწარმოქმნისათვის მრავალი ღმერთ-კაცისა; ის გახდა განკაცება სამართიანი ღმერთისა, მოიტანა ღმერთი ადამიანში და გახდა ღმერთი ისეთი, რომ ადამიანს ახლა შეუძლია შეეხოს მას, მიწვდეს მას, მიიღოს ის, განიცადოს ის, შევიდეს მასში და დატკბეს მისით – იოანე 1:14; კოლ. 2:9; რომ. 8:28-29.

- 2. ღმერთი საუბრობს ამ გარდასახვებზე ოსიას 11:4-ში ასე: „ადამიანური საბელებით ვატარებდი, სიყვარულის კავშირებით“; გამოთქმა „ადამიანური საბელებით, სიყვარულის კავშირებით“; მიუთითებს იმაზე, რომ ღმერთს ვუყვარვართ ჩვენ თავისი ღვთაებრივი სიყვარულით არა ღვთაებრიობის დონეზე, არამედ ადამიანობის დონეზე; ღმერთის სიყვარული არის ღვთაებრივი, მაგრამ ის გვადწევს ჩვენ ადამიანის საბელებში, ანუ ქრისტეს ადამიანობის მეშვეობით:

- ა) საბელები (გარდასახვები, პროცესები), რომლებითაც ღმერთი გვიზიდავს ჩვენ, მოიცავს თავის თავში ქრისტეს განკაცებას, ადამიანურ ცხოვრებას, ჯვარცმას, აღდგომასა და ამადლებას; სწორედ ქრისტეს ყველა ამ ნაბიჯის მეშვეობით მის ადამიანობაში ღმერთის სიყვარული მის გადარჩენაში გვადწევს ჩვენ – იერ. 31:3; იოანე 3:14, 16; 6:44; 12:32; რომ. 5:5, 8; 1 იოანე 4:8-10, 16, 19.

- ბ) ქრისტეს გარეშე ღმერთის მარადიული სიყვარული, მისი უცვლელი, დამატყვევებელი სიყვარული ვერ დაგვიმორჩილებდა ჩვენ; ღმერთის უცვლელი სიყვარული გვიპყრობს, რადგან ეს

სიყვარული არის ქრისტეში, ქრისტესთან ერთად, ქრისტეს მეშვეობით და ქრისტესათვის.

გ) ღმერთის მარადიული სიყვარული ყოველთვის არის გამარჯვებული; საბოლოოდ მიუხედავად ჩვენი წარუმატებლობებისა და შეცდომებისა ღმერთის სიყვარული მოიპოვებს გამარჯვებას – რომ. 8:35-39.

ბ. სამნაწილოვანი ადამიანის გარდასახვა არის ღმერთის მოძრაობა იმ მიზნით, რომ გახადოს ადამიანი ღმერთი, შეადგინოს ადამიანი გამზადებული და დასრულებული სამერთიანი ღმერთით; ღმერთის გამოვლინებაში იობისათვის, იობმა დაინახა ღმერთი, რათა მოეპოვებინა ღმერთი იმ მიზნით, რომ ყოფილიყო გარდასახული ღმერთით ღმერთის ჩანაფიქრისათვის – იობი 38:1-3; 42:1-6; 2 კორ. 3:16-18; ებრ. 12:1-2ა:

1. იმის შედეგად, რომ ჩვენ ვხედავთ ღმერთს, ჩვენი არსება გარდაისახება ღმერთის სახებად; ამიტომ, რაც უფრო მეტად ვუყურებთ მას როგორც დასრულებულ სულს ჩვენს სულში, უფრო მეტად ჩვენ ვღებულობთ ჩვენს არსებაში მის ყველა ინგრედიენტს როგორც ღვთაებრივ ელემენტებს, რომელსაც გამოჰყავს ჩვენი ძველი ელემენტი, ისე რომ მთელი ჩვენი არსება ხდება ახალი; ჩვენი ქრისტიანული ცხოვრება არის არა გარეგნული ცვლილება, არამედ გარდასახვა შიგნიდან – 2 კორ. 3:18; ფსალ. 27:4; გალ. 6:15-16.

2. ჩვენ შეგვიძლია დავრჩეთ გარდასახვის ყოველდღიურ პროცესში, მივაბრუნოთ ჩვენი გული უფლისაკენ, რათა ვუცქიროთ და ავირეკლოთ ის ახდელი სახით; ახდელი სახე არის გული, რომელიც მიმართულია უფლისაკენ – 2 კორ. 3:16, 18:

ა) მივმართოთ ჩვენი გული უფლისაკენ – ნიშნავს გვიყვარდეს უფალი; რაც უფრო მეტად გვეყვარება უფალი, უფრო მეტად გაიხსნება ჩვენი გული უფლისათვის და უფალს ექნება შესაძლებლობა, რომ გავრცელდეს ჩვენი სულიდან ჩვენი გულის ყველა ნაწილში.

ბ) მივმართოთ ჩვენი გული უფლისაკენ, გავხსნათ ჩვენი გული უფლისათვის არის გასაღები ჩვენი ზრდისათვის სიცოცხლეში; ჩვენ შეგვიძლია გავხსნათ ჩვენი გული უფლისათვის, უბრალოდ ვუთხრათ უფალს: „ო, უფალო, მე მიყვარხარ შენ; მე მინდა გასიამოვნო შენ“.

გ) როდესაც ვუცქერით უფალს დღითი დღე ჩვენს ყველა სიტუაციაში (ფსალ. 27:4), ჩვენ ავირეკლავთ უფლის დიდებას და გარდავისახებით მის სახებად დიდებიდან დიდებისაკენ.

დ) მრავალი ქრისტიანი არ ხარობს, რადგან არ ხარობს სული მათ შიგნით (ეფეს. 4:30; შდრ. ფსალ. 16:11; 4:34; საქმე. 3:19-20; გამ. 33:11, 14-17; ებრ. 1:9; იერ. 15:16; იოანე 15:9-11; 1 იოანე 1:3-4; 2 იოანე 12; ფილიპ. 4:4); თუ ჩვენ არ მივმართავთ ჩვენს გულს უფლისაკენ, რათა ნება მივცეთ უფლის სულს, რომ გავრცელდეს ჩვენი

სულიდან ჩვენს გულში, ჩვენ ვიგრძნობთ ჩვენს თავს შევიწროვებულად და დათრგუნულად.

- ე) სადაც არის უფლის სული, იქ არის თავისუფლება (2 კორ. 3:17); თუ ვიღაც ამბობს, რომ კრება არის მოწყენილი, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ რომ ის თვითონ არის მოწყენილი შინაგანად; მაგრამ როდესაც ჩვენ მივმართავთ ჩვენს გულს უფლისაკენ, ჩვენ ვტკბებით სულით როგორც ჩვენი თავისუფლებით.
 - ვ) როდესაც გამანთავისუფლებელი სული ღებულობს შესაძლებლობას, რომ გავრცელდეს ჩვენი გულის ყველა ნაწილში, ჩვენ ვაღწევთ თავს ყველაფერს, ავმადლდებით და ვთავისუფლდებით; ეს თავისუფლება არის დიდება, ანუ ღმერთის თანდასწრება და ღმერთის გამოსატყულება; ჩვენ განვიცდით მადლიერებას, საპატიო და დიდებულ გრძნობას, რადგან ჩვენ გარდავისახებით მის სახებად – მუხ. 18; დაბ. 1:26.
- გ. გარდასახვა ცვლის ჩვენს სახებას, ძველი კაცის სახებას, სხვა სახებაზე, ახალი კაცის სახებაზე; უფალი ახორციელებს ამ გარდამსახველ სამუშაოს ქრისტეს სიკვდილის მომაკვდინებელი მოქმედების მეშვეობით – 2 კორ. 4:10-12, 16-18:
1. 2 კორ. 4:10-ში პავლე ამბობს, რომ ჩვენ ყოველთვის ვატარებთ სხეულში იესოს მოკვდინებას; „*მოკვდინება*“ არის მომაკვდინებელი ქმედება; ქრისტეს სიკვდილი გვკლავს ჩვენ – 1 კორ. 15:31, 36; იოანე 12:24-26; 2 კორ. 1:8-9.
 2. ქრისტეს სიკვდილი არის შედგენილ სულში; სული არის გამოყენება ქრისტეს სიკვდილისა და მისი ქმედითობა – გამ. 30:22-25; რომ. 8:13.
 3. ქრისტიანული ცხოვრება, არის ცხოვრება, რომელიც მუდმივად არის შედგენილი სულის მომაკვდინებელი ქმედების ქვეშ; ამ ყოველდღიურ მომაკვდინებელ სამუშაოს ახორციელებს ჩვენში მყოფი სული, იყენებს „*მომაკვდინებელი იარაღის*“ სახით ჩვენს გარემოცვას.
 4. ღმერთის ღვთაებრივი და უზენაესი ძალაუფლების მქონე მოწყობით ყველაფერი მუშაობს ჩვენთვის სასიკეთოდ, ჩვენი გარდასახვისათვის, ქრისტეს სიკვდილის მომაკვდინებელი ქმედების მეშვეობით; „*სიკეთე*“ რომ. 8:28-ში არ არის დაკავშირებული ფიზიკურ ადამიანებთან, მოვლენებთან ან ნივთებთან; კეთილი არის მხოლოდ ერთი – ღმერთი – ლუკა 18:19:
 - ა) ყველა ადამიანი, ყველა მოვლენა და ყველა ნივთი, დაკავშირებული ჩვენთან, – არის საშუალება, გამოყენებული წმიდა სულის მიერ იმ მიზნით, რომ იმუშავოს ჩვენთვის სასიკეთოდ, რათა ჩვენ ვიყოთ დახუნძლული სიკეთეებით (ფსალ. 68:19ა) – თვით სამერტიანი ღმერთით (შდრ. დაბ. 45:5; 50:20).
 - ბ) ყველა ადამიანი და ყველა სიტუაცია, დაკავშირებული ჩვენთან, მოწყობილია ღმერთის სულით, რათა შეესაბამებოდეს მის მუშაობას ჩვენ შიგნით ჩვენი გარდასახვისათვის და

დამსგავსებისათვის ღმერთის პირმშო ძის სახებასთან – შდრ. მათე 10:29-31.

- დ. გარდასახვა ხორციელდება ჩვენში ჩვენ მიერ წმიდა სულის გამწვრთნელი მუშაობის განცდასთან ერთად – რომ. 8:2, 28-29; ებრ. 12:5-14:
 - 1. სულის მუშაობა ჩვენში არის ის, რომ შეადგინოს ჩვენში ახალი არსება, ხოლო სულის მუშაობა გარედან არის ის, რომ დაამსხვრიოს ყველა ასპექტი ჩვენი ბუნებრივი არსებისა ჩვენი გარემოცვის დახმარებით – შდრ. იერ. 48:11.
 - 2. ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ ჩვენში მოქმედ სულთან და მივიღოთ ის გარემოცვა, რომელიც მოაწყო ჩვენთვის ღმერთმა – ფილიპ. 4:12; ეფეს. 3:1; 4:1; 6:20; 1 კორ. 7:24.

III. მსახურება არის შედეგი გამოცხადებისა ტანჯვებთან ერთად – ის, რასაც ჩვენ ვხედავთ, ინერგება ჩვენში ტანჯვების მეშვეობით; აქედან გამომდინარე, ჩვენ მოგვაქვს ჩვენს მსახურებაში ის, რასაც ჩვენ წარმოვადგენთ:

- ა. თუმცა მსახურები არიან ბევრი, მათ აქვთ მხოლოდ ერთი მსახურება – ახალი აღთქმის მსახურება ღმერთის ახალი აღთქმისეული სახლმშენებლობის განსახორციელებლად; ჩვენ ვმუშაობთ ქრისტესთან ერთად ამ ერთი მსახურების განხორციელებისათვის, რომელიც არის ადამიანებისათვის ქრისტეს მიტანა მისი სხეულის აშენებისათვის – საქმე. 1:17; ეფეს. 4:11-12; 1 ტიმ. 1:12; 2 კორ. 4:1; 6:1ა.
- ბ. სხეულს მთლიანობაში აქვს ერთი უნიკალური ერთობლივი მსახურება, მაგრამ ვინაიდან ეს მსახურება არის ქრისტეს სხეულის მსახურება და ვინაიდან სხეულს აქვს მრავალი ასო, ყველა ასოს აქვს თავისი საკუთარი მსახურება უნიკალური მსახურების განსახორციელებლად – საქმე. 20:24; 21:19; 2 ტიმ. 4:5; კოლ. 4:17.
- გ. მსახურება განკუთვნილია ქრისტეს მიტანისათვის, რომელსაც ჩვენ განვიცდიდით, და ის შედგება ქრისტეს სიმდიდრეების განცდისაგან და წარმოიქმნება და ფორმირდება ქრისტეს სიმდიდრეების განცდისაგან, რომლებსაც მოვიპოვეთ ტანჯვების, დამანგრეველი წნეხისა და ჯვრის მომაკვდინებელი სამუშაოს მეშვეობით – საქმე. 9:15-16; კოლ. 1:24; ფილიპ. 3:10; 1 ტიმ. 4:6; 2 კორ. 1:4-6, 8-9, 12; 3:3, 6:
 - 1. სულის მსახურება განკუთვნილია იმისათვის, რომ ჩვენ მივალწიოთ ღვთაებრივი გამოცხადების მწვერვალს, იმის მეშვეობით, რომ ჩვენ მივიტანოთ ქრისტეს, როგორც სულს, რომელიც აცოცხლებს – მუხ. 8-9, 6, 3; გამოცხ. 22:17ა.
 - 2. სამართლიანობის მსახურება განკუთვნილია იმისათვის, რომ ჩვენ შევიდეთ ღმერთკაცის ცხოვრებაში, მივიტანოთ ქრისტე არა მარტო როგორც ჩვენი ობიექტური სამართლიანობა, არამედ როგორც სუბიექტური სამართლიანობა ჩვენთვის და გამოვლენილი ჩვენს ცხოვრებაში, ქრისტეს ნამდვილი გამოხატულებისათვის – რომ. 5:17; ფილიპ. 3:9; გამოცხ. 19:8.

3. შერიგების მსახურება განკუთვნილია იმისათვის, რომ ჩვენ ვმწყემსოთ ადამიანები ღმერთის თანახმად (ქრისტესთან ერთობაში მისი მწყემსობის ზეციურ მსახურებაში), მივიტანოთ ქრისტე როგორც შერიგების სიტყვა იმ მიზნით, რომ შევიყვანოთ ღმერთის ხალხი, თავიანთ სულში როგორც წმიდათა წმიდაში, რათა ისინი გახდნენ ადამიანები სულში – 2 კორ. 5:18-20; იოანე 21:15-17; 1 პეტ. 5:2-4; 2:25; გამოცხ. 1:12-13; ებრ. 10:19, 22; 1 კორ. 2:15.
 4. თუ ჩვენ მთლიანად შევალთ ასეთ შესანიშნავ მსახურებაში მის სამ ასპექტში, ამის წყალობით უფალი მიიღებს შესაძლებლობას, რომ მიიყვანოს ეკლესიები ახალ გამოცოცხლებაში.
- დ. მწუხარება არის სასიამოვნო მონახულება და განსხეულება მადლისა ქრისტეს მთელ სიმდიდრესთან ერთად; მადლი მოგვინახულებს ჩვენ ძირითადად მწუხარების სახით – 2 კორ. 12:7-10:
1. მწუხარების მეშვეობით წმიდა სული იყენებს ჩვენ მიმართ მომაკვდინებელ ზემოქმედებას, რომელსაც ქრისტეს ჯვარი ახორციელებს ჩვენს ბუნებრივ არსებაზე, რაც აძლევს აღდგომის ღმერთს შესაძლებლობას, დაამატოს თავისი თავი ჩვენში – 1:8-9; 4:16-18.
 2. მწუხარება წარმოქმნის მოთმინებას, რომელიც წარმოქმნის მოწონების ხარისხს – მოწონებული ხარისხი ანუ თვისება, რომელიც იქნება შედეგი მწუხარებისა და გამოცდის გადატანისა და განცდის – რომ. 5:3-4.
- ე. ღმერთმა გადმოღვარა თავისი თავი როგორც სიყვარული ჩვენს გულებში წმიდა სულთან ერთად, რომელიც მოგვეცა ჩვენ, რათა ის იყოს აღმშენებელი ძალა ჩვენ შიგნით, რომლის წყალობითაც ჩვენ გამარჯვებაზე უფრო მეტს ვაღწევთ ჩვენს ყველა მწუხარებაში; ამიტომ, როდესაც ჩვენ მოთმინებით გადაგვაქვს ნებისმიერი მწუხარება, ჩვენ არ ვართ დამარცხებულნი, არამედ ვცხოვრობთ ქრისტეს მისი განდიდებისათვის – მუხ. 5; 8:31-39; 2 კორ. 5:14-15; ფილიპ. 1:19-21ა.